საქართველო

29960-01-2-201708141501

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/29960
14/08/2017

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 247
თარიღი: 16 08 2017 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციას"

/ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. 27; ტელ: +995322 309025/

თქვენი 2017 წლის 19 ივლისის N318 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველო–სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დასრულებული არ არის. გრძელდება მუშაობა სახელმწიფო საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთების დაზუსტების მიზნით.

შესაბამისი მოლაპარაკებების დასრულება, რომელიც დაწყებულია 1995 წელს, დამოკიდებულია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევაზე - კონკრეტული ვადების წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია.

რაც შეეხება ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსს და არპის ნაციონალურ ტყე-პარკს, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის 1920-წლებიდან მოცემული ტერიტორიები მოხვედრილი იყო სომხეთის ფარგლებში. თუმცა, მოლაპარაკებების პროცესში მხარეები ცდილობენ გაითვალისწინონ ურთიერთდაინტერესება კონკრეტულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. საქართველოს, ასევე, არ აქვს დასრულებული სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის სამუშაოები აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, შესაბამისად ვერც სადემარკაციო სამუშაოები ვერ იქნება განხორციელებული სახელმწიფო საზღვარზე. მუშაობა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის მიზნით ერთობლივი კომისიის ფარგლებში გრძელდება.

მოლაპარაკებების დასრულებამდე და ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მხარეები სახელმწიფო საზღვრად ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში არსებულ საზღვარს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას, ქართულ და თურქულ მხარეთა მიერ სახელმწიფო საზღვრად აღიარებულია სსრკ-თურქეთს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის ხაზი, რომლის დემარკაცია ბოლოს განხორციელდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში. ქართულ და თურქულ მხარეთა ექსპერტების მიერ პერიოდულად ხორციელდება აღნიშნული საზღვრის ერთობლივი მონიტორინგი.

ამასთანავე, ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N298 22.06.2017) განახლდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუას ხელმძღვანელობით.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი